

Programmatic Cooperation Framework for Armenia, Azerbaijan, Georgia, Republic of Moldova, Ukraine and Belarus

Funded
by the European Union
and the Council of Europe



EUROPEAN UNION

COUNCIL OF EUROPE



CONSEIL DE L'EUROPE

Implemented
by the Council of Europe

Human Rights and Healthcare in Prisons and Other Closed Institutions in Georgia II



საინფორმაციო ბიულეტენი ნოემბერი, 2016

ევროპის საბჭო და ევროკავშირი შეიმუშავენ ფსიქიკური ჯანმრთელობის სკრინინგის ინსტრუმენტებს საქართველოს პენიტენციური სისტემისა და დროებითი მოთავსების იზოლატორებისთვის



24-25 ნოემბერს, კახეთში 2 დღიანი სამუშაო შეხვედრა გაიმართა. საფრანგეთის, გერმანიისა და შვეიცარიის პენიტენციურ სისტემაში მომუშავე ევროპის საბჭოს საერთაშორისო ექსპერტებმა წარმოადგინეს სკრინინგის ინსტრუმენტები, რომლებიც მათ ქვეყნებში დაკავებულთა და პატიმართა ფსიქიკური ჯანმრთელობის სტატუსის შესამოწმებლად გამოიყენება. ექსპერტებმა ასევე ისაუბრეს მომუშავე პერსონალისთვის აუცილებელ პროცედურებსა და მოვალეობებზე.

იხილეთ მეტი ...

სახალხო დამცველის ოფისის შესაძლებლობათა გაძლიერება ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხების მონიტორინგის კუთხით



ვაგრძელებთ სახალხო დამცველის ოფისის შესაძლებლობათა განვითარების მხარდაჭერას დახურულ დანესებულებებში ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხების მონიტორინგის კუთხით. ამ მხარდაჭერის ნაწილია სამდღიანი ტრენინგი ციხეებში ფსიქიკური ჯანდაცვის სერვისების თემაზე, რომელიც 2016 წლის 3-5 ნოემბერს გაიმართა.

იხილეთ მეტი ...

ფსიქიატრიულ დანესებულებებში ადამიანის უფლებათა დაცვის შიდა ინსპექტირების მექანიზმის შემუშავების გზაზე



ევროპის საბჭო და ევროკავშირი ეხმარება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ფსიქიატრიულ დანესებულებებში, ადამიანის უფლებათა დაცვის შიდა ინსპექტირების მექანიზმის შესახებ კონცეფციის შემუშავებაში. დოკუმენტი, რომელიც ევროპის საბჭოს ადგილობრივმა კონსულტანტმა მოამზადა და რომელიც ევროპის საბჭოს საერთაშორისო კონსულტანტებმა შეაფასეს თბილისში, 2 ნოემბერს გამართულ მრგვალი მაგიდის შეხვედრაზე განიხილეს.

იხილეთ მეტი ...

ვპასუხობთ ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანების საჭიროებებს



ევროპის საბჭოს საერთაშორისო ექსპერტებმა დაწესებულებების თანამშრომლებისთვის, ფსიქიკური პრობლემების მქონე პატიმრების მართვის საკითხებზე, 3 დღიანი სემინარი ჩაატარეს.

სემინარის მონაწილეებს საშუალება მიეცათ სიღრმისეულად გაცნობოდნენ ფსიქიკური აშლილობის მქონე პატიმრების შეფასებისა და მკურნალობის, დაწესებულებაში შესვლისას მათი სამედიცინო შემონიშვნის, სუიციდისა და თვითდაზიანების პრევენციის თანამედროვე მიდგომებსა და ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ სხვა პრობლემებს.

იხილეთ მეტი ...

ვმუშაობთ ერთად მათი უფლებების დასაცავად, ვისაც ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები აქვთ



დაიწყო განმეორებითი ტრენინგების ციკლი ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა უფლებებსა და სამედიცინო ეთიკის საკითხებზე, რომელიც საგანგებოდ ფსიქიატრიულ დაწესებულებათა თანამშრომლებისთვის ტარდება.

იხილეთ მეტი ...

სუიციდის პრევენციის პროგრამა სასჯელალსრულების სისტემაში



ევროპის საბჭო და ევროკავშირი აგრძელებს მუშაობას საქართველოს სასჯელალსრულების დაწესებულებებში ფსიქოლოგთა, ფსიქიატრთა და სოციალურ მუშაკთა შესაძლებლობების გაუმჯობესების კუთხით, ციხეებში სუიციდის პრევენციის პროგრამის უკეთ ადმინისტრირებისათვის.

იხილეთ მეტი ...


ვაგრძელებთ სასჯელალსრულების სამინისტროს გენერალური ინსპექციის გაძლიერებას



28 - 30 ნოემბერს ევროპის საბჭოს ორგანიზებით კიდევ ერთი სამდღიანი ტრენინგი გაიმართა. ღონისძიების თეორიული ნაწილი პატიმრების უფლებების, შიდა ინსპექტირების საერთაშორისო სტანდარტებისა და სისტემური მონიტორინგის წარმართვის სპეციფიკას ეხებოდა. თეორიულ ნაწილის წინ უძღოდა სიმულაციური სწავლება. ციხეში ვიზიტისას, ტრენინგის მონაწილეებს, თეორიული ნაწილის დროს დაგროვებული ცოდნის პრაქტიკაში განხორციელების საშუალება მიეცათ.

იხილეთ მეტი ...

პენიტენციური სისტემის თანამშრომელთა ტრენინგი პირველადი სამედიცინო დახმარების თანამედროვე სტანდარტებზე



ევროპის საბჭო და ევროკავშირი აგრძელებს ტრენინგების სერიას პირველადი სამედიცინო დახმარების თანამედროვე სტანდარტებზე, რაც დაეხმარება სასჯელაღსრულების სამინისტროს ციხეების არასამედიცინო პერსონალის გადამზადებაში პაციენტებისთვის პირველადი დახმარების აღმოჩენის საკითხებზე. ტრენინგების სერია მოიცავს როგორც პენიტენციური სისტემის სამედიცინო პერსონალის მომავალ ტრენერთა და ასევე არასამედიცინო პერსონალის ტრენინგებს.

იხილეთ მეტი ...



ვმუშაობთ ერთად ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და სამართლის უზენაესობის გასაუმჯობესებლად!